მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(131) 2016 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

## ინტერვიუ...

# მოემზადდა და ჩატარდა ორგანიზებულად და კვალიფიციურად

**ჩაცხრა** საქართველოს პარლამენტის არჩევნებით გამოწვეული ვნებათაღელვა... თუმცა, მასმედიის საშუალებით მაინც ისმის შეფასებები, შეცდომებზე, დარღვევებზე მითითებები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მისი მშვიდობიანი ჩატარებაა, მიუხედავად ორ ტურად ჩატარებისა.

განვლილი პერიოდის შეფასება ვთხოვეთ **№11 საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ მღებრიშვილს.**

***– ბატონო ზურაბ, ჩვენს საარჩევნო ოლქში რამდენი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული და მათგან რამდენმა მიიღო მონაწილეობა პირველ და II ტურში?***

– სულ 46080 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. მათგან პირველ ტურში 21529 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. მეორე ტურში – 16214-მა.

***– რა პრინციპით მოხდა საუბნო-საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, რა კრიტერიუმებით შეირჩა თითოეული კომისია?***

– სულ ჩვენს საარჩევნო ოლქში 50 საარჩევნო უბანი იყო, შესაბამისად, 50-ვე უბანი დაკომპლექტდა გამოცდილი, კვალიფიციური ადამიანებით, კომისიის მიერ შეირჩა თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, წევრები.

***– რა რესურსი გააჩნდა საოლქო-საარჩევნო კომისიას გამოცდილების მიხედვით?***

– მართალია, ამ კომისიიდან მარიამ თოფურიასა და თამილა კევლიშვილისათვის საოლქო-საარჩევნო კომისიაში მუშაობის დაწყებიდან ეს არჩევნები პირველი გამოცდა იყო, მაგრამ, მინდა ვთქვა, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი ყველა იმ საპასუხისმგებლო დავალებას, რაც მათ ეკისრებოდათ... სხვა წევრებს რაც შეეხება, აქ გამოცდილება მართლაც დიდი იყო...

***– არჩევნების მომზადების წინა პერიოდში ჩატარდა ტრენინგები, რა შედეგები გვაჩვენა ამან, სრულყოფილი იყო თუ არა შემაჯამებელი ოქმები, რაიმე საჩივარი ხომ არ შემოსულა კომისიის წევრების მიმართ?***

– მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი. ტრენინგები ჩატარდა 4 ეტაპად, აქ გაირკვა ყველა დეტალი და ნიუანსი. ამიტომაც არც მნიშვნელოვანი საჩივარი შემოსულა და ოქმებიც სრულყოფილად იყო წარმოდგენილი.

***– რა პირობებში უხდებოდათ საარჩევნო უბნების კომისიებს მუშაობა. იყო თუ არა მათთვის შექმნილი ნორმალური სამუშაო პირობები?***

– ჩვენი საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა და პირადად მეც თითოეული საარჩევნო უბანი დავათვალიერეთ – ყველა პირობა იყო შექმნილი კომისიების ნორმალური მუშაობისათვის – აქ იყო შესაბამისი ინვენტარი, განათება, მოწესრიგებული იყო ოთახები.

***– გვქონდა თუ არა ადაპტირებული უბნები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაუბრკოლებლად გადაადგილება იქნებოდა შესაძლებელი, რა პირობები ჰქონდათ უსინათლოებს?***

– სრულად ადაპტირებული იყო პატარძეულის სკოლის უბანი და შიბლიანის სკოლის უბანი, სადაც შენობებს პანდუსები აქვთ, ყველა უბანზე იყო სპეციალური საარჩევნო კაბინები, სადაც ასეთ ამომრჩეველს შეეძლო ეტლით შესვლა და ხმის მიცემა. უბნების უმეტესობა ნახევრად ადაპტირებული იყო. უსინათლოთათვის იყო სპეციალური დაფა-კონვერტი, რომლითაც მათ თავიანთი ხმის დაფიქსირება შეეძლოთ...

***– პირველი ტურის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო კანონის რომელი მუხლით განისაზღვრა მეორე ტურში მონაწილე კანდიდატთა ვინაობა?***

– როგორც თქვენთვის ცნობილია, პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ზურაბ ჭიაბერაშვილს, რომელსაც ამომრჩეველთა 24,88 პროცენტმა მისცა ხმა და დეპუტატობის კანდიდატს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“ რომან მუჩიაშვილს, რომელსაც ამომრჩეველთა 46,79%-მა მისცა ხმა, მოუწიათ მეორე ტურში გადასვლა. ეს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ხდება, რომელიც კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით ათვლას ითვალისწინებს – თუ კანდიდატმა ვერ შეძლო ხმათა 50%+1 რაოდენობის მოპოვება, მაშინ ორი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გადადის მეორე ტურში.

***– როგორ შეაფასებთ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების ორივე ტურს?***

– დადებითად. ორივე ტური ჩვენს საარჩევნო ოლქში ჩატარდა ნორმალურად, დარღვევების გარეშე. საოლქო-საარჩევნო კომისიამ და 50-ვე საარჩევნო უბანმა წარმატებით გაართვა თავი ჯერ არჩევნების ორგანიზებას და შემდეგ არჩევნების ორივე ტურის ჩატარებას.

## დეპუტატი

# მრთად ვიღვაწოთ და ვიშრომოთ

**მადლობას** ვუხდი ჩემი მშობლიური საგარეჯოს რაიონის თითოეულ მოქალაქეს, ვინც საქართველოს პარლამენტის არჩევნების ტურებში მიიღო მონაწილეობა და თავისი არჩევანით ჩვენი ქვეყნისა და რაიონის მომავალზე ზრუნვა მე მომანდო. მადლობას ვუხდი მათაც, ვინც ვერ მოვიდა არჩევნებზე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მოგეხსენებათ, არჩევნები დაემთხვა ისეთ პერიოდს, როცა კახელ კაცს იქით სჭირდება დახმარება, ხელის შეშველება და გვერდში დგომა – ჭირნახულის აღება-დაბინავება მართლაც დიდ შრომას და დროს მოითხოვს. ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რა დიდი გული აქვთ ჩემს თანამემამულეებს სიკეთითა და სიყვარულით სავსე, როგორი სიდინჯით, გონიერებით შეუძლიათ გადაწყვიტონ საქვეყნო საქმეები, უდალატოდ დაუდგნენ ერთმანეთს მხარში და შეუმცდარი ნაბიჯი გადადგან ხალხის სასიკეთოდ. მადლობა ამისთვის, ჩემო კარგებო! მეც ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ ჩემი ქვეყნისა და რაიონის საკეთილდღეოდ. ყოველი დღე დატვირთული იქნება თქვენზე ზრუნვასა და სასიკეთო საქმეების კეთებაში. თქვენს, ჩვენს, ყველას გასაჭირს იქ მივიტან, სადაც პრობლემების მოგვარება შეიძლება. ყველანაირად ვეცდები, გვერდში დავუდგე ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას იმ საკითხების მოგვარებაში, რომელიც მოგვიგვარებს ისეთ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, როგორიცაა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება, გზების, სარწყავი სისტემების მოწყობა-მოწესრიგება. შევეცდები დავეხმარო ახალგაზრდა და პროფესიონალ ადამიანებს დასაქმებაში. დამეთანხმებით, საწარმოების, ფერმერული მეურნეობების გახსნა-აღორძინება მართლაც ბევრ სამუშაო ადგილს შექმნის. მაგრამ, ყოველივე კარგი და სასიკეთო საქმის კეთებაში ისევ თქვენი გვერდში დგომის იმედი მაქვს, ჩემი რაიონის, მშობლიური სოფლების გულშემატკივრებო!

მადლობა ყველას, ვინც გვერდით მედგა წინასაარჩევნო მარათონში, ვინც თითო აგური დადო პარლამენტის არჩევნების მშვიდობიანად წარმართვისათვის, ვინც გაისარჯა, ვინც ნდობა გამომიცხადა.

მაშ, ერთად გაგვიმარჯოს, ერთად ვიღვაწოთ და ვიშრომოთ საქართველოს, საგარეჯოს უკეთესი მომავლისათვის.

პატივისცემით და სიყვარულით თქვენი

*რომან მუჩიაშვილი,*

***საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს რაიონიდან***

## მოიხნა, დაითესა

**მიმდინარე** წლის ოქტომბრის უხვნალექიანობამ მუნიციპალიტეტში საგრძნობლად შეაფერხა მინდვრის საშემოდგომო სამუშაოები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრის საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებში 7 ნოემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სულ მთლიანად საშემოდგომოდ მოხნულია 5 ათასი ჰექტარი ფართობი. აქედან, სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობით 450 ჰა, დანარჩენი პროგრამის გარეშე.

ამავე პერიოდისათვის მუნიციპალიტეტში საშემოდგომო კულტურები დათესილია 2900 ჰექტარ ფართობზე. 2000 ჰა-ზე საშემოდგომო ხორბალი, 900 ჰა-ზე – საშემოდგომო ქერი. საშემოდგომო ხვნა-თესვა მუნიციპალიტეტში გრძელდება.

## სოფლის მეურნეობა

# საფუძველი ეყრება მომავალი წლის მოსავალს



## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

**8 ოქტომბერი, 2016წ**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი გზირიშვილი*** უძღვებოდა. თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა ტერიტორიულ ერთეულებში წარმოადგინეს ზეპირი ინფორმაციები ცალკეულ სოფლებში არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებიც ოპერატიულად, ოპტიმალურ ვადებში უნდა მოგვარდეს. საუბარი შეეხო მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების, შემოდგომის წვიმების შედეგად დაზიანებული გზებისა და ქუჩების მოწესრიგებას. ასევე, იმსჯელეს პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტით დასრულებული სამუშაოების შესრულების ხარისხზე და ამ პროგრამიდან მორჩენილი თანხების მიზანმიმართულ გამოყენებაზე.

თათბირზე წარმოგენილი საკითხის ირგვლივ მსჯელობის შემდეგ კონკრეტული დავალებები მიეცათ მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგეს ბექა ფეიქრიშვილს და შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელობას თათბირზე წარმოდგენილი საკითხების შესასწავლად და მოსაწესრიგებლად.

## ინფრასტრუქტურა-2016




## ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად

## შპს „საგარეჯო“

# „ყველა სირთულემების დასაძლევად მზადყოფნაში ვართ...“

**2016 წლის** 1 ივნისიდან საგარეჯოში ფუნქციონირება დაიწყო შპს „საგარეჯომ“ (დირექტორი სანდრო უსტიაშვილი), რომელმაც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა აიღო – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება. აღნიშნული შპს-ს მიზნებსა და ამოცანებზე, უკვე შესრულებულ სამუშაოებზე გვესაუბრება ***შპს-ს დირექტორის მოადგილე*** **ლევან ძვლიგორაძე.**

– მოგეხსენებათ, ყველა ქალაქს, სოფელს სჭირდება ისეთი სამსახური, რომელიც დროის უმოკლეს ვადაში შეასრულებს ისეთ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელთაც ვადაში გაგრძელება არ სჭირდება, პირიქით, ეფექტურად და ოპერატიულად მოაგვარებს პრობლემებს. ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ეხება გზების, სასმელი წყლების ქსელების მოწესრიგებას. ამიტომაც ჩვენი, შეზღუდული პასუხისმგებლობისმქონე საზოგადოება „საგარეჯოს“ ფუნქციაც სწორედ ესაა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების მოხრეშვა-გასწორება, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების გაწმენდა, სასმელი წყლის სისტემების სარემონტო სამუშაოები და მისი ახალი მილებით შეცვლა, ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრა, გამწვანებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, მდინარის კალაპოტების დასუფთავება, ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა, შიდა საუბნო გზების მოვლა-პატრონობა. ჩვენს საზოგადოებას ევალება, ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება.

***– როგორც ვიცით, შპს-მ ივნისში დაიწყო ფუნქციონირება. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. კონკრეტულად, რა სახის სამუშაოები გაკეთდა თქვენი ძალებით?***

– ჩვენ, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში: უჯარმაში, ხაშმში, პატარძეულში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, გიორგიწმინდაში, თოხლიაურში, მანავში, დიდ ჩაილურში, ყანდაურაში, ვერხვიანში, შიბლიანში და ქალაქ საგარეჯოში მოვახდინეთ გზების მოხრეშვა-დაშანდაგება, სანიაღვრე არხების გაწმენდა, წყლის სათავეებში დამბის გაკეთება და ა.შ.

***– სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩამოთვალეთ, რასაც მძიმე ტექნიკა სჭირდება, ამ მხრივ როგორაა საქმე?***

– ტექნიკა ჯერ-ჯერობით გვყავს. გვაქვს თვითმცლელი ავტომანქანა „ზილ“-ი, ფორდტრანზიტი, რომელსაც სოფლებიდან ბადიაურიდან და ყანდაურიდან გამოაქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გვაქვს ექსკავატორი – კატერპილერი, მუხლუხა ტრაქტორი, ტრაქტორი ბულდოზერი, ასევე – ექსკავატორი.

***– ტექნიკას პროფესიონალებიც სჭირდება...***

– დიახ, ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან: ტრაქტორისტები დავით ქურხული და ნიკოლოზ როსტომაშვილი, მძღოლები – აკაკი ჯანდაგაშვილი და დავით კუმელაშვილი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს შპს-ში ასევე, დასაქმებულნი არიან მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასახადის მომკრეფებიც ნაზი ქურდოვანიძე და ეთერ სონიშვილი.

***– შემოდგომის ხშირი უამინდობა, ნაადრევი სიცივეების დადგომა ალბათ ბევრ პრობლემებს შეუქმნის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას...***

– ჩვენ ყველა პრობლემის მოსაგვარებლად და ყველა სირთულეების დასაძლევად მზადყოფნაში ვართ...



**დასასრული**
**დასაწყისი იხ. „გარეჯის მაცნე“ №9,10,11**

## ჯანდაცვა

**ქალაქში** ფუნქციონირებს “ჯეოჰოსპიტალს”-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

(ცენტრის დირექტორი **ბაჩო მაღრაძე),** რომელიც დღეისათვის 15 საწოლზეა გათვლილი. მალე საწოლთა რაოდენობა დღეს მიმდინარე რეკონსტრუქციის ხარჯზე გაიზრდება. აქ ფუნქციონირებს ემერჯენსი (გადაუდებელი სამედიცინო დახმარება).

ამბულატორიული, ქირურგიული, თერაპიული, პედიატრიული, სამეანო-გინეკოლოგიური, რეანიმაციული, ანესთეზიის და ოპერატიული მოვლის მიმართულებები,

# ჩვენი მუნიციპალიტეტი

# ქალაქი საგარეჯო

24 საათიანი რეჟიმით ფუნქციონირებს კლინიკო-ბიოლოგიური ლაბორატორია.

ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურება შპს კლინიკა – „ლაიფი” (მენეჯერი **ნესტან ურდულაშვილი**), სადაც განთავსებულია ამბულატორია, ქირურგიული

და სამეანო-გინეკოლოგიური მიმართულებები. აქ 35 ექიმი და 15 მედიცინის და პა-

ციენტთა ჯანმრთელობას ემსახურება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვაზე ზრუნავს ასევე, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი** (დირექტორი **ლელა ოთარაშვილი**), რომელიც

ქალაქის ტერიტორიაზე, ყოფილი რაისაა-

ვადმყოფოს შენობაშია განთავსებული.

## სკვერები

**ქალაქის** ტერიტორიაზეა ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული 1638 მ2, კულტურის სახ-

ლთან არსებული 850 მ2-ის, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სკვერი – 8648 მ2 ფართობებით.

## ეკლესიები

**ქ. საგარეჯოს** ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღვთისმშობლის მიძინების სახ-

ელობის საკათედრო ტაძარი, სიმონ მესვეტისა და დავით გარეჯელის სახელობის, თავთა მოციქულთა – პეტრეს და პავლეს სახელობის ეკლესიები.



### სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

# პროექტი, რომელმაც მთლიანად შეცვალა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი

**21-ე** საუკუნემ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მნიშვნელოვანი მიზანი დაუსახა – ბავშვის ჰარმონიული (რაც გულისხმობს ფიზიკური, გონებრივი და ემოციური) განვითარების ხელშეწყობას და ამისთვის ოპტიმალური პირობების შექმნას. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სასკოლო ასაკის ბავშვის ინტელექტი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უზრუნველყოფენ უფროსები იმ პირობებს, რომლებშიც მათ მოუწევთ განვითარება.

სწორედ შესაბამისი პირობების შექმნისათვის „რეგიონული განვითარების“ ფონდიდან ***საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის №3 დაწესებულების (მენეჯერი ნანა სულიკაშვილი)*** სრულ რეაბილიტაციას 70096 ლარი მოხმარდა. დაწესებულებამ, რომლის ისტორიაც თითქმის 60 წელს ითვლის, მიიღო ისეთი სახე, რომლის სტანდარტები და ფორმები მთლიანად აკმაყოფილებს სკოლამდელი აღზრდის დღევანდელ მოთხოვნათა სტანდარტებს და ფორმებს. დაწესებულების შენობა ათწლეულებია კაპიტალურ რემონტს ითხოვდა. მართალია, ამ რამდენიმე წლის წინ შეიცვალა კარფანჯარა, სახურავი, მაგრამ კედლები, ჭერი, იატაკი უკვე რეაბილიტაციას მოითხოვდა...

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს აქ 70-მა აღსაზრდელმა შეაღო კარი. საოცარი სითბოთი, სიხარულით და სიამაყით შეხვდნენ დაწესებულებაში მოსულ აღსაზრდელებს, მათ მშობლებს მენეჯერი, აღმზრდელ-პედაგოგები, მომსახურე პერსონალი. სასიხარულო და საამაყო მართლაც აქვთ: აქ, დიდ სივრცეშია განთავსებული აღსაზრდელთა ჯგუფის სამი სამეცადინო ოთახი, საკონცერტო დარბაზი, ლოგოპედის ოთახი, საძინებელი, კეთილმოწყობილი სამზარეულო, ხელსაბანი ოთახი. აქვთ ცხელი წყალი, ცენტრალური გათბობა, ახალი მაგიდები და სკამები.



დაწესებულების ***უფროს ჯგუფში (აღმზრდელი მასწავლებელი*** **სონია გენგაშვილი**, ***აღმზრდელის თანაშემწე*** **ლია ალეძასშვილი)** 34 აღსაზრდელია, აქედან 20 – სასკოლო ასაკისაა. მათ მომავალ სასწავლო წელს სკოლის მერხზე უნდა გადაინაცვლონ. ამიტომ მათთან მუშაობაც, სასწავლო-საალმზრდელო პროგრამაც ასაკის შესაფერისია. აღმზრდელები ეცნობიან ქართულ ენას, ასო-ბგერებს, 10-ის ფარგლებში სწავლობენ დათვლას, უკუთვლას.

***3-4 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელ-მასწავლებელი*** **ნელი პერატიშვილი**, ***აღმზრდელის თანაშემწე*** **ეკა ჯეშურაშვილი**) 27 აღსაზრდელია.

***ბაგის ასაკის 2-3 წლიანებში (აღმზრდელ-მასწავლებელი*** **ეთერ კევლიშვილი**, ***აღმზრდელის თანაშემწე*** **ნატალია ნუკრაძე**) 25 აღსაზრდელია.

აღმზრდელ-პედაგოგები გამოცდილი, მუშაობის დიდი სტაჟის მქონენი არიან, მათ სასწავლო-საალმზრდელო პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ***ლოგოპედი*** **ძეთინო დარბაისელი**, ***ფსიქოლოგი –*** **ირინე ძართლელიშვილი**, ***მუსიკის მასწავლებელი –*** **ეკა მაზანიშვილი**, რომელთაც თავიანთი სასწავლო-საალმზრდელო პროგრამა აქვთ.

კეთილმოწყობილ სამზარეულოში პატარებს გემრიელ სადილებს უმზადებს ***მზარეული*** **ლია ნანუაშვილი**, აღსაზრდელების ჯანმრთელობას ყოველ დღე თვალყურს ადევნებს ***მედიცინის და –*** **მაია ილაური**, დეწესებულების სისუფთავეზე კი ***დამლაგებელი*** **რიმა შაქარაშვილი** ზრუნავს.

მოგონებები

# იქით, წარსულში რჩება – მესტია, უშბა, შხარა, თეთნულდი, იალბუზი დღევანდელობაში – აწმყოშია – უდაბნო მომავალშია – სიყვარული წარსულისა და აწმყოსი

**გაიოზ ჩართოლანი – სვანეთის გოროზი, ამაყი მთების შვილი დღეს უდაბნოში ცხოვრობს. უდაბნოს საჯარო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად და სპორტგაერთიანების ძიუდოს სექციის მწვრთნელია. ახლახანს 70 წელი შეუსრულდა, რომელიც დიდი სიყვარულით თავისმა მესტიელებმა მესტიაში ლამაზად აღუნიშნეს. ჩვენც მივულოცეთ წელთა სიმრავლე და მას განვლილი ცხოვრების გახსენება შევთავაზეთ.**

**დავიბადე** დაბა მესტიაში. ახლახანს შემისრულდა 70 წელი

1965 წელს დავამთავრე მესტიის №1 საშუალო სკოლა.

ბავშვობაში გატაცებული ვიყავი ქართული ჭიდაობით. იმ წლებში არ არსებობდა ასაკობრივი ზღვარი და სკოლის მოსწავლეებს სისტემატურად გვიხდებოდა უფროსი ასაკისა და ჯარიდან ჩამოსულ ბიჭებთან ჭიდილი.

60-იან წლებში ჭიდაობაში ვიყავი რაიონის მრავალგზის ჩემპიონი და დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი. ყველა ფიქრობდა, რომ ჭიდაობას გავყვებოდი, მაგრამ ჩემს სპორტულ კარიერაში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემი ოჯახის სპორტულმა ტრადიციამ. კერძოდ, მამაჩემმა ჭიჭიკო ჩართოლანმა, ხუთგზის სსრკ ჩემპიონმა, რომელიც 1956 წელს პამირის სასიმაღლო ასვლებში 55 წლის ასაკში მეხუთედ გახდა ჩემპიონი.

სვანეთი ყოველთვის იყო გამოჩენილ მთამსვლელთა სავანე. ეს განპირობებული არის იმით, რომ ის წარმოადგენს ცენტრალურ კავკასიონს, სადაც თავმოყრილია ურთულესი და უმაღლესი მწვერვალების კასკადი, როგორებიცაა ხუთიათასიანები: შხარა, რუსთველი, მესტიელა, ჯანღები, დიხთაკუ, თეთნულდი, ურთულესი მწვერვალები – უშბა, შხელდის მასივი, ჩათნის მთა, ჩრდილოეთით – კავკასიის პიკი, კავკასიის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი და სხვა მწვერვალები.

ამ მწვერვალებისაკენ ოდითგანვე მიპყრობილი იყო ძველი და ახალი თაობის, უცხოელი თუ საბჭოთა მთამსვლელთა ყურადღება.

1965-1969 წლებში დავამთავრე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, სადაც ჩვენი ჯგუფის მწვრთნელი იყო „კლდის ვეფხვად“ წოდებული, სსრკ 12-გზის ჩემპიონი კლდეზე ცოცვასა და ალპინიზმში, კაცი, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში ბულგარეთში, ინგლისში (სადაც მას ურთულესი გაუვალი მარშრუტის გავლის დროს უწოდეს „კლდის ვეფხვი“), საფრანგეთში, იტალიაში, საათობით ხსნიდა მარშრუტებზე ადრე დამყარებულ რეკორდებს.

მიხეილ ხერგიანი დაიღუპა 1969 წლის 4 ივლისს, იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვამთავრებდით ინსტიტუტს მასთან ერთად, და როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მისი გამოცდილება და მზრუნველობა. ეს იყო ბრწყინვალე პიროვნება, რომელიც შემკული იყო ყველა ადამიანური ღირსებით, ადამიანი ლეგენდა, რომელსაც მთელი იმდროინდელი მთამსვლელთა საერთაშორისო საზოგადოება და ჩვენი ქვეყანა ხელისგულზე ატარებდა.

მისი დაღუპვა იყო ეროვნული ტრაგედია, რომელიც გასცდა სსრ კავშირის ფარგლებს. ის მოყვა ქვათაცვენაში იტალიაში დოლომიტებში 900 მეტრიან მარშრუტზე, რომლის დროსაც მან გაიარა ურთულესი უარყოფითი 800 მეტრიანი კედელი და რაღაც 150 მეტრი იოლი გზადა რჩებოდა მწვერვალამდე ასასვლელად, იგი მოჰყვა ქვათაცვენაში, რომელმაც გადაჭრა თოკი და 800 მეტრიანი ფრენის შემდეგ მიხეილ ხერგიანი დაიმსხვრა.

იმ ადგილას დღეს აღმართულია დიდი ბარელიეფი გადატეხილი წერაყინით.

ეს იყო საშინელი და წარმოუდგენელი ტრაგედია ჩვენი ცხოვრების გარიჟრაჟზე, რომელიც მიხეილ ხერგიანის გარდაცვალებით ახალგაზრდა ჯგუფმა განვიცადეთ ისეთ ახალგაზრდულ ასაკში, რომელიც არასოდეს არ ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

ჩვენ მიშასთან ერთად გვქონდა პერსპექტიული გეგმები, სხვადასხვა კატეგორიის მწვერვალებზე პირველი ასვლისა, ბევრი ჩანაფიქრი, რაც ნაწილობრივ განუხორციელებელი დარჩა. დროთა განმავლობაში ეს გეგმები გახუნდა და ჩაიფერფლა.

ჩვენი მორალური და სულიერი დაცემის შემდეგ ცხრაკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელობა ითავა საქვეყნოდ ცნობილმა მთამსვლელმა, მიხეილ ხერგიანის მეწყვილემ, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ალპინიზმის „აკადემიკოსად“ წოდებულმა შალვა მარგიანმა, რომელმაც მართლაც დიდი და წარუშლელი წვლილი შეიტანა

*დასასრული მე-6 გვერდზე*

შემოქმედი

# ის, ჩვენი გარეჯის სიყვარულით ნასაზრდოები

**ამ** ბოლო დროს სოციალურ ქსელში ხშირად ვხვდები ძირ-ძველი საგარეჯოელებისაგან საგარეჯოს მძაფრ მონატრებას, ჩვენი პატარა ქალაქის ყოველდღიურობას მონატრებულთა შემოხმიანებას. გასაგებია ემიგრანტთა ტკივილნარევი სიყვარულიც და ნოსტალგიაც, მაგრამ, სულ სხვანაირი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი ქალაქის ერთი ქუჩის პატარა მონაკვეთის გამოჩენას. „ეს ჩემი საყვარელი ქუჩაა, ეს ჩემი მშობლიური ქუჩაა“ ... წამოვიდა და წამოვიდა გამოხმაურებები საგარეჯოს I საბავშვო ბაღის კედლების, სტალინის ქუჩაზე ჩამწკრივებული ცაცხვის ხეების დანახვაზე. „ამ ქუჩაზე ჩვენც ვსეირნობდით“ – სიხარულის ამოძახილი იყო ***საგარეჯოელი ლელა მეზვრიშვილი-სვიმონიშვილის*** ფეის-ის კედელზე და იქვე უცბად გახსენებული ლექსის გამომზეურებაც – „ჩემი მამული“.

ამ ლექსს „ჩემი გარეჯი“ მოჰყვა „წინასიტყვაობით“:

„ – ...მენატრებით და მიყვარხართ ყველა... წარსულიდან და დღევანდელობიდან... მენატრება ჩემი საგარეჯო... ჩემია... ჩემად მივიღე და სხვას ვერაფერით ჩავანაცვლე ჩემი საგარეჯო... სულ... სულ... სულ... „ყოველთვის და ყველა დროში.ყველაფერი მიყვარდა და მითბობდა გულს რასაც გარეჯული ერქვა.....

## ჩემი გარეჯი

მადლობთ.....თქვენ ჩემო გარეჯელებო!
რომ, სიყვარულის ხურჯინი მკიდეთ.....
სოფლიდან ქალაქს მიმავალ ქალას,
ვაზის ნამუსი ზურგზე ამკიდეთ.....
მადლობა, ჩემო! კოდის ნიავო.....
ჩემი ცხოვრების აფრად გაშლილო.....
მადლობა.....ჩემო კახეთის მიწავ.....
ბარაქიანო....და ...ვერ წაშლილო.....
მადლობა- ჩემი ივრის ნაპირებს,
მადლობა-ჩვენი ვენახის მტევნებს.....
დაწურულს ღვინოდ....და ...აქაფებულს.....
კაცის გულივით ავსებულ ქვევრებს.....
და რომ მეგონა....დავცლიდი ხურჯინს.....
ნაჩუქარ წარსულს,
სიყვარულს , უთქმელს.....
ვერ მოვერიე..... ვიყნოსავ.....დღესაც.....
ზაფხულის თქეშში ავარდნილ
სურნელს.....
მადლობა..... ჩემო გარეჯელებო.....
სადაც წავედი სულ თან დამდევდით....
და სულ მეგონა, თუ დამჭირდებით,
მოხვალთ..... და აგერ, თვალთხევს
დამხვდებით.....
სიცოცხლის ხეო.....გარეჯს დარგულო.....
მე შენი კვარი კელაპტრად მენთო.....
მადლობთ იმ დიდი სიყვარულისთვის....
თან რომ მატანეთ და საგზლად
მერგო.....
მადლობთ...თქვენ ჩემო გარეჯელებო....
ამოტვიფრულო...გულზე ჩემებად.....
და ის, რაც ერთხელ ჩემად მივიღე...
სულ კრიალოსნის ლოცვად შემება.....

„დგება ცხოვრებაში მომენტი, როცა დრო შენთვის და მხოლოდ შენთვის უფლისგან საკუთრად მონიჭებული, ჩქარდება! სათქმელი და გასაკეთებელი კი იმდენი გვაქვს, იმდენი გეგმები, აღარც კი იცი, საიდან რომელი დაიწყო, ახლა იცი, რომ დროის აი, ამ მონაკვეთში უნდა ჩაეტიო და მორჩა. მიდი და თუ მაგარი ხარ, მოასწარი ყველაფერი... მოკლედ, სიცოცხლე მარათონია... აი, ამიტომ მიყვარს სიცოცხლე, რაღაც გამოუცნობ სიურპრიზებს გიმზადებს მუდამ და გინდა თუ არ გინდა, არც ფიქრის, არც მოდუნების, არც დეპრესიის უფლებას არ გაძლევს. უფალი კი მუდამ შენთან არის, რომ არ დაეცე განსაცდელებთან, რთულ განტოლებებთან ერთად. ხო, მიყვარს რთული, დაუდგრომელი, მკაცრი შეგრძნებებით დატვირთული სიცოცხლე. ვნახოთ, მე ვაჯობებ თუ ის...“

## ...სიცოცხლე...

გამოუთქმელო სევდავ....
ჩემო უძირო ჭურო!
გულს მოხვეულო სუროვ,
შენ დაუღლელო ფურო!
ყურძნის მტევანო.... ქარვავ....
უფლის მოძღვრების ფარდავ....
გპოულობ... ისევ გკარგავ...
და თან შვილებით გქარგავ....
სიცოცხლევ! ვაზო.... რთველო....
ჩემო პალიტრის ფერო!
გზად მიმავალის ჩეროვ,
ხან უბედურო გერო....
სულ აზარფეშად გავსე,
ბოლომდე ვერ გაგავსე....
შენ ჩემო, ლოცვავ.... ოხრავ....
მადლობთ.... რაც მადლით მავსე!
მინდა ბოლომდე გწურო....
სიცოცხლევ გამოგწურო....
გჭყლიტო და გული ვიმხო,
ზედ თავზე გადაგიმხო....
კაცის ნამუსის ქუდო!
ქალის სინდისის შალო!
გქსოვო და გძერწო, გშალო....
ბაწარო.... ვერ გაგშალო.....
როგორც საწნახელს ქარვა,
ღვინის ბადაგად მალვა....
მინდა სიცოცხლის პარვა...
ჩემი შვილების ფარვა....
ჩემი ქონება– ქრისტე!
სიცოცხლე– ჯაჭვი რთული!
მერმისო, თან დამირთე...
შვილები შიგ ჩამირთე....
გამოუთქმელო სევდავ....
სიცოცხლევ, ჩემო, სხვებთა,
შენ, დაუცლელო ჭურო ....
შენ არ დაღლილო ფურო !
ჩემი სულისა ლირავ...
ჩემი გულისა სისხლო....
ფიქრისა ნისლო....მინდა....
გიყმო...სიცოცხლევ!.მიხმო....

– ჰო, სიცოცხლე ამოცანაა, რომლის ამოხსნაც ბოლოდან უნდა დაიწყო, ალბათ. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ არასოდეს არ იცი, როდის იქცა ის გამოცანად და როცა შეცდომების გასწორებას იწყებ, სიცოცხლის წლები აღარ გყოფნის“.

**ლელა მეზვრიშვილი** საგარეჯოელი. საგარეჯოს II საშუალო სკოლას ამშვენებდა თავისი ვიზუალით და უზადო ნიჭით. უფროსი და-ძმის ნებიერა სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა... შემდეგ ოჯახიც შექმნა – პატარა ჩაილურელ სვიმონიშვილს დაუკავშირა თავისი ბედი. ცხოვრება თბილისში დაიწყეს, შეეძინათ ულამაზესი ქალ-ვაჟი. ლელა დღეს თბილისის ერთ-ერთი კერძო სტომატოლოგიური კლინიკის მფლობელი და სტომატოლოგია: თბილისის ქუჩებმა იცის, როგორ უყვარს თავისი საგარეჯო, ყველაფერი და ყველა, რაც ბავშვობას, მშობლიურ კერას აგონებს, თუმცა, საგარეჯოსთან დიდი ტკივილიც აკავშირებს (90-იან წლებში) უფროსი ძმის ტრაგიკული გარდაცვალება და მის დარდს გადაყოლილი დედ-მამა... ამიტომაც ასე ძვირფასია მისთვის სიცოცხლე...

*დასასრული მე-8 გვერდზე*

მოგონებებში

# იქით, წარსულში რჩება – მესტია, უშბა, შხარა, თეთნულდი, იალბუზი დღევანდელობაში – აწმყოშია – უდაბნო მომავალშია – სიყვარული წარსულისა და აწმყოსი

**დასასრული**

ჩვენს ყოველმხრივ ჩამოყალიბებაში. იგი გამოირჩეოდა მარშრუტებზე ასვლის დროს უზადო ტექნიკით,იყო მკაცრი და მომთხოვნი, რადგან პატარა შეცდომაც შეიძლება მწვერვალზე ასვლისას ტრაგედიით დამთავრებულიყო.

ჩვენი ჯგუფი შალვა მარგიანთან ერთად ძირითად მწვერვალთა დაპყრობას ვახდენდით ზემო და ქვემო სვანეთის გასაყართან მწვერვალ „აილამის“ მასივის ძირში არსებულ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ბანაკ „აილამიდან“, რომელიც იყო საკავშირო მნიშვნელობის. აქ ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მაშინდელი სსრ კავშირის რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქებიდან თავს იყრიდა უამრავი ახალდამწყები თუ გამოცდილი მთამსვლელი, სხვადასხვა ქალაქებში არსებული ალპკლუბების მთამსვლელები. ბანაკი მუშაობდა 5 ცვლად,ყოველ ცვლაში გროვდებოდა 500 მოყვარული და პროფესიონალი მთამსვლელი. ეს მთამსვლელები გამოცდილ ინსტრუქტორთა დახმარებით გადიოდა წვრთნას თოვლზე, ყინულზე, კლდეებზე და გვირგვინდებოდა ყოველივე ეს სხვადასხვა კატეგორიის მწვერვალთა მარშრუტების დაპყრობით. იმხანად უამრავი ასეთი ბანაკი არსებობდა კავკასიონზე, სადაც მწვერვალთა ყველა მოყვარულს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიუწვდებოდა ხელი.

1971 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში ალპინისტურ ბანაკ „ელბრუსის“ ბაზაზე დავამთავრე საკავშირო საინსტრუქტორო სკოლა ალპინიზმში. იქ ძირითადად გვასწავლიდნენ მამაჩემის თაობის უძლიერესი მთამსვლელები სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. ესენი იყვნენ ლეგენდარული რუსი მთამსვლელები: ვ. აბალაკოვი, ი. უგაროვი, ბ. სიდორენკო, ე. გიპენრეიტერი, გ. რომანოვი და სხვები. ამ ბანაკში კვალიფიკაციას იმაღლებდნენ მოწინავე მოქმედი მთამსვლელები ყველა კუთხიდან. ამ სკოლამ ბევრი რამ მომცა – მივიღე საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რაც შემდგომში გამომადგა სამაშველო სამუშაოების შესრულების და მწვერვალთა დაპყრობის პერიოდში. ვიყავი ამ სკოლის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში, რომელიც ორგანიზებულ იქნა სკოლის დამთავრების საზეიმო დახურვის დროს, „კლდეთა ლაბორატორიის“ მიდამოებში.

საინსტრუქტორო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვახდინეთ რამდენიმე საკვალიფიკაციო ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ასვლა მწვერვალ იალბუზზე (სიმაღლე 5642მ), რომელიც თავისი გრანდიოზულობით, სიდიდით და აღმატებულობით ყველა მწვერვალზე დიდია (შემდგომში ჩემს რუს და ჩეხ მეგობარ მთამსვლელებთან ერთად მქონდა ბედნიერება კვლავ რამდენჯერმე შემედგა ფეხი ამ წმინდა მწვერვალზე). 150 კაციდან იალბუზზე ავიდა 43 მთამსვლელი. ჩემთან ერთად იყო ბაკურიანელი მთამსვლელი, შესანიშნავი ახალგაზრდა თემურ მიქაბერიძე. ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევდით მწვერვალზე ამსვლელებს. ზოგჯერ გვიხდებოდა მათი ძირს დაშვება უსაფრთხო ადგილამდე,და ისევ დაწევა მოწინავე ჯგუფისა, რის გამოც სკოლის ხელმძღვანელობისაგან მადლობა დავიმსახურეთ.

1974 წელს მომენიჭა უფროსი ინსტრუქტორის წოდება ალპინიზმში.

1971-76 წლებში ვიყავი რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონი და პრიზიორი.

1965-1978 წლებში მქონდა საშუალება ჩემს მეგობრებთან დამელაშქრა უამრავი მწვერვალი. შემეგრძნო ბუმბერაზი მთების

გრანდიოზულობა და მწვერვალთა ზღაპრული სიდიადე, რომელსაც ვერავითარი საოცრება ვერ შეედრება. ვერაფერი შეედრება შედამებისას, მწვერვალთა კალთებზე ღამისთევისას საკუთარი თვალით დანახულ მილიონობით ტონა კლდეთა და ყინულთა ზვავების ნგრევას. ეს არის ბუნების სასწაული, რომელიც საშინელი სიშლეგით და კოსმიური გრიალით შთაინთქმება მყინვართა უფსკრულებში. ეს არის გამაოგნებელი ბუნებრივი ჭიდილი ბუნებისა საკუთარ თავთან. ეს ჭიდილი გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში ჭექა-ქუხილისა და გრიგალის თანხლებით, მთათა სისტემების შექმნის დღიდან. ამ წლებში მქონდა ბედნიერება ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით მწვერვალებზე ამეყვანა და ამ ვაჟაცური სპორტისთვის მეზიარებინა ასობით ახლადდამწყები და თანრიგოსანი სტუდენტი-ახალგაზრდობა იმდროინდელი სსრკ სხვადასხვა ქალაქებიდან. ჩვენს ჯგუფს მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებდა ძველი თაობის მთამსვლელებთან, რომლებიც გვიზიარებდნენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას მწვერვალთა დაპყრობისა. ესენი იყვნენ სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები მთამსვლელობაში: ბ. ხერგიანი, მ. გვარლიანი, გ. ზურებიანი, ჭ. ჩართოლანი, ბ. ხერგიანი. მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა 50-იანელებთან, სსრკ-ს სპორტის დამსახურებულ ოსტატთან მიხეილ ხერგიანთან, შ. მარგიანთან, ი. და ჯ. კახიანებთან, ლ. და ქ. ჩართოლანებთან, ჯ. გუგავასთან, შ. მირიანაშვილთან, მ. დანგაძესთან, შ. და ო. ხაზარაძეებთან, გ. ქართველიშვილთან და ჩვენთვის ძვირფას უხუცეს მთამსვლელთან, ალპინისტურ ბანაკ „აილამის“ დამაარსებელთან, საქართველოს ალპკლუბის დირექტორთან დიმიტრი ობოლაძესთან, რომელსაც სიყვარულით „ძია მიტო“-თი მოვიხსენიებდით.

ჩვენ დღე და დამეს ვასწორებდით, რათა მუდმივ სპორტულ ფორმაში ვყოფილიყავით, რათა საჭირო ადგილზე და დროზე დახმარების ხელი გაგვეწოდებინა მთაში გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისათვის. იმ დროს ბევრ სამაშველო სამუშაოებში ვღებულობდით მონაწილეობას. მე ვიმოღვაწე ჩემს შესანიშნავ მეგობრებთან, თავისი საქმის პროფესიონალებთან: ვ. რატიანთან, ზ. მუშკუდიანთან, კ. არღვლიანთან, მჭედლიანთან, ჯ. გვარლიანთან, ა. ხერგიანთან, ლ. გურჩიანთან, ს. ბარლიანთან, ნ. ნიგურიანთან, ი. გელდიაშვილთან, დ. თარხნიშვილთან, შ. ქირიკაშვილთან, რომელთაც უმაღლესი კატეგორიის ასვლები ჰქონდათ კავკასიონზე, პამირზე, , ტიან-შანსა და ჰიმალაიზე.

ამ წლებში ბევრი ახალგაზრდა გამოაკლდა ჩვენს რიგებს. მწვერველების მეგობრების დაკარგვა განსაკუთრებულ ტკივილს იწვევდა ჩვენში. არასოდეს დამავიწყდება, ერთი წლის დაწყებული გვქონდა მთაში სიარული, როდესაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა სრულიად ახალგაზრდა ექვსი მთამსვლელი. ისინი დაიღუპნენ სვანეთში 1965 წლის სექტემბერში, – რუსთაველის მწვერვალზე ასვლისას ზვავმა ჩაიტანა. ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება ჩემი მეგობრის, ვაჟკაცი კაცის, „თოვლის ჯიქის“ სერგო ბარლიანის დაღუპვა. ის დაიღუპა კავკასიონზე 3800 მეტრის პატარა მწვერვალზე, დამწყები მთამსვლელებისათვის კავკასიონის მთებზე ლექციის წაკითხვისას მეხის დაცემისაგან. მას იმხნად დაპყრობილი ჰქონდა სსრკ ყველა 7 ათასიანი მწვერვალი, ზოგიერთი ორჯერ და სამჯერაც კი. ის დაიღუპა თავის სპორტულ ზენიტში ყოფნის პერიოდში – 1982 წელს. 1984 წლის თებერვალში, ზამთრის ასვლის დროს მოხდა დიდი ტრაგედია. მწვერვალ უშბაზე დაიღუპა ექვსი შესანიშნავი ტიტულოვანი მთამსვლელი ირაკლი გელდიაშვილის ხელმძღვანელობით. ეს შემთხვევა იყო უდიდესი ტრაგედია იმ დროისათვის საქართველოში. მოუშუშებელი ტკივილად დარჩება ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის საქართველოდან პირველი ჰიმალაის ექსპედიციის მონაწილის აკაკი ხერგიანის, ვალერი რატიანის და ახლახან გარდაცვლილი ყველასათვის ძვირფასი ნუგზარ ნიგურიანის დაღუპვა.

იმ წლებში, ვგულისხმობთ საბჭოთა წლებს, მთამსვლელობაში სხვანაირი წესები მოქმედებდა, ვიდრე დღეს. მაშინ არ შეიძლებოდა ცალ-ცალკე სიარული, ერთმანეთზე მზრუნველობისა და დაცვის გარეშე, სათანადო კვალიფიკაციის და თანრიგის გარეშე რთულ მწვერვალებზე არავინ გაგიშვებდა. ასეთმა წესებმა ბევრი ტრაგედია ააცილა მთამსვლელებს.

დღეს ყოველივე ეს მოიშალა. ვისაც გული მიუწევს მწვერვალებისკენ, ყველა დადის, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, თანაც ყველა სირთულის მარშრუტზე, ინსტრუქტორების გარეშე. ამიტომ არის დღეს ტრაგიკული შემთხვევები გახშირებული.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი უნდა ემორჩილებოდეს წესით განსაზღვრულ კანონზომიერებას,რათა თითოეული მთამსვლელისა და მთის მოყვარულის სიცოცხლე იყოს დაცული. სხვანაირად მივიღებთ ხშირ ტრაგედიებს.

ეს იყო ჩემი ალპინისტური მოღვაწეობის ერთი ძნელად სავალი და გზადაგზა მძიმე



ტრაგედიებით აღსავსე გზა.

1969 წელს მესტიის რაიონში სპორტული მოღვაწეობის დაწყებისთანავე დავიწყე სპორტის სახეობათა რეორგანიზაცია და განვითარება. დავიწყე სპორტის ახლებური ხედვებისა და თანამედროვე მეთოდიკის დანერგვა და განვითარება. 1974 წელს მესტიის რაიონში დავნერგე სპორტის ერთ-ერთი ურთულესი სახეობა – ჭიდაობა ძიუდო. სპორტის ახალი სახეობის დანერგვას უდიდესი ძალისხმევა და სასიცოცხლო ენერგია დასჭირდა, რადგან ჩვენ მხოლოდ ქართულ ჭიდაობაზე ვიყავით აქცენტირებული.

იმ დროს რთული იყო ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ადგილზე და რაიონის გარეთ სპორტულ ღონისძიებებში მუდმივად მონაწილეობის ტრადიციად ქცევის გააზრება, რადგანაც რაიონში არ არსებობდა სპორტის მიმართ თანამიმდევრული მიდგომა და სისტემატიურად ღონისძიებებში მონაწილეობის ტრადიცია. იმ პერიოდში აუცილებელი იყო სპორტის სრული რეფორმა და წვრთნის ახლებური მიდგომები და სისტემატიურად ღონისძიებებში მონაწილეობის შემოღება. თუ მანამდე მესტიის რაიონი წელიწადში რესპუბლიკური მასშტაბით 3-4 ღონისძიებაში მონაწილეობდა, 1974-98 წლებში მესტიის რაიონის სპორტსმენები 35-45 რაიონულ, რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში იღებდნენ მონაწილეობას. მიუხედავად რაიონში სპორტული მოედნების, დარბაზებისა და სპორტული ინვენტარის დეფიციტისა.

დიახ, აქ დიდი ძალისხმევა დასჭირდა კლდეზე ცოცვის, ქართული ჭიდაობის, სამბოს, ძიუდოს, კრივის, სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობების განვითარებას.

1974-89 წლებში ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში მესტიის რაიონს ჰყავდა უამრავი წარმატებული სპორტსმენი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

1982 წელს მომენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – რესუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტის მოღვაწის წოდება. 1981-1990 წლებში ვიყავი მესტიის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე. ამ წლებში ჩემთან სპორტში მუშაობდნენ ღვაწლმოსილი მწვრთნელები, რომელთაც დიდი წვლილი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს მესტიის რაიონში სპორტის თანამედროვე დონეზე აყვანაში.

1987 წელს სვანეთის სტიქიის დროს ჩვენ საცხოვრებლად გადმოვედით საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში. დაუვიწყარია ის კაცური დახვედრა, რაც საგარეჯოელებმა მოგვიწყეს აქ ჩამოსულთ მაშინდელი რაიკომის მდივნის მედიკო მეზვრიშვილის მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით. თითოეულ ოჯახზე მიმაგრებული იყო წარმოება ან ორგანიზაცია,რომლებიც,როგორც ეკონომიურ, ისე სულიერ ყურადღებას არ აკლებდნენ ჩამოსახლებულ ოჯახებს. რომ არა საგარეჯოელი ხალხის დახმარება. ალ;ბათ ძალიან ბევრს გაუჭირდებოდა, ვერ შეეგუებოდა უდაბნოში არსებულ სირთულეებს. მე 4 წელი ვიმუშავე აქ გამგებლად და ვიცი რა სირთულეებთანაც უწევს გამკლავება სოფლის მოსახლეობას. ყველამ კარგად იცის, რომ თითქმის 25 წელი სოფელი იყო უწყლოდ. მადლობა ღმერთს, რომ ეს პრობლემაც კაცურად გადაჭრა დღევანდელმა ხელისუფლებამ.

მე ვთვლი, რომ შესაფერის დროზე, შესაფერის ადგილზე მოვხვდი საგარეჯოში, რომელიც განთქმულია არა მარტო საგარეჯოში თავისი ვაჟკაცობით ყველა სფეროში და განსაკუთრებით სპორტში. ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, მარტო არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი და გივი ონაშვილი რომ ჰყავდეს, ისიც ეყოფა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ კაცებთან მიხდება ურთიერთობა. დღეს მე კვლავ ვაგრძელებ მოღვაწეობას უდაბნოს საჯარო სკოლაში, ვცდილობ კვლავ გავუზარდო სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები, კარგი სპორტსმენები, რაშიც ყოველდღიურ ყურადღებას ვგრძნობ, როგორც სკოლის შესანიშნავი კოლექტივისგან, ასევე სკოლის დირექციისგან, რომელიც ვფიქრობ, ღირსეულად უძღვება თავის საქმეს.

*გაიოზ ჩართოლანი*



## 2 ნოემბერს აღინიშნა წმინდა ბერი გაბრიელის ხსენების დღე

**საქართველო** აღდგება, ისე როგორც ლაზარე. სკიპტრა სკიპტრაა და სანამ საქართველოს გვირგვინოსანი მეფე არ ეყოლება, არაფერი გამოვა. საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ის რა ერია, რომელსაც მეფე არა ჰყავს.

**საქართველო** უნდა გაბრწყინდეს, მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს. როცა იტყვიან აი, მორჩა, მაშინ განათლდება და გაბრწყინდება.

**ჯერ** ჩემამდე, მამა გიორგი (მხეიძე) უნდა შეირაცხოს წმინდანად, ის უდიდესი წმიდანია (ბერი გაბრიელის წინასწარმეტყველება ასრულდა. დიდი ბეთანიელი მამა გიორგი 2003 წ. შერაცხეს წმიდანად).

**ჯერ** უგუნური უნდა იყო, რომ მერე ბრძენი გახდე.

**საოცრებათა** საოცრება ის არის, რასაც მზის იქით უყურებ და ხედავ. მზის ყურებაზე მეტი, თავათ მზის გამჩენის ყურებაა.

**აღსარება** ღვთის იმხელა საიდუმლოებაა, რომ ადამიანის გონება ვერ ჩასწვდება მასში. ის ღვთის დიდი წყალობაა დედამიწაზე.

**ჭეშმარიტმა** რწმენამ გულში უნდა დაისადგუროს, არა გონებაში. ანტიქრისტეს სწორედ ის გაჰყვება უკან, ვისაც გონებაში აქვს რწმენა, ხოლო ვისაც გულში აქვს რწმენა, ის შეიცნობს ანტიქრისტეს.

**მაცხოვარს** არ უვლია ზანზალაკებით და ხალიჩებზე. დეკორაცია ეზიზღება ღმერთს. ქრისტე უბრალო იყო, ერთი პერანგი ეცვა ღვთისმშობლის მოქსოვილი.

**გოლგოთა** უდიდესი წყალობაა ღვთისა. თუ განსაცდელი არ იქნება, როგორ გამოიცდები?

**როგორც** კი შესცოდავ, მაშინვე შეინანე.

**თუ** შენ ლოცულობ და ამ დროს მოგადგა ვინმე გაჭირვებული და გთხოვა დახმარება, შენ რომ არ მიეხმარო და უთხრა: ვლოცულობ, დავამთავრებ და მერე მოგხედავო, აი, ასეთი ლოცვა ღმერთს არ სჭირდება. ასეთ ლოცვაზეა ნათქვამი, ლოცვა ცოდვად შეერაცხაო.

**არ** შეიძლება ხატს სახეზე ემთხვიო, ჩარჩოზე რომ ემთხვიო მორიდებულად, ისიც საკმარისია. სასოება უნდა ხატებთან ურთიერთობას, არ უნდა ბევრი კოცნა. უნდა მიხვიდე სიყვარულით, გულით და სასოებით. გადაჭარბებული ღმერთს არაფერი უყვარს.

**დიდი** მადლია მტრედებს და ჩიტებს აჭამო საჭმელი.

ღვთის სახელის ხსენება უმიზეზოდ არ შეიძლება, ხშირად რომ ახსენებ მესამე მცნება ირღვევა.

**ღვთის** განგების იმედი არასოდეს დაჭკარგო.

**ვინც** ყველაზე მეტად გიყვარს, ჯერ იმათთვის დაიწყე ლოცვა, მაგალითად შენი შვილებისათვის, როდესაც მათთვის ილოცებ, შემდეგ ილოცე დანარჩენი ოჯახის წევრებისათვის, შემდეგ ყველა თქვენს ირგვლივ მყოფი მეზობლებისათვის, რომ მტერი არ გყავდეს. დალოცე ის ქალაქი, სადაც შენ ცხოვრობ, თბილისი ხომ მარტო არ არის, დალოცე ყველა მცხოვრები, რომელიც საქართველოშია, საქართველო ხომ მარტო არ არის, ირგვლივ სხვა ქვეყნების მცხოვრებლებითაა გარემოცული, სთხოვე ღმერთს, რომ დაამშვიდოს მათი გული, რათა მტრობა ვერ შესძლონ. ახლა, როცა მთელი ქვეყნისთვის ილოცე, ერთი მტერიდა დაგრჩა, იმასაც ნუ გამოტოვებ, ღმერთს სთხოვე აავსოს მისი გული სიკეთით და გონება - სიბრძნით. აი, ასე შესძლებთ ბოროტებით აღსავსე ადამიანისათვის და თქვენი მტრისთვისაც ლოცვას.

**შიშით** და მოწიწებით უნდა ილოცო. როცა ლოცულობ, გაიაზრე ვის წინაშე დგახარ, ვის ესაუბრები, ქრისტე უხილავად არის ჩვენთან, სულ არს ღმერთი.

**ივერიის** ღვთისმშობლის ხატი რომ დააპირებს ათონის მთის დატოვებას, ზარების რეკვა ატყდება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით. ყველაფერი იქნება ტელევიზიით, ეს არის ღვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში.

**თუ** ღვთის მცნებებს არ იცავთ, ნუ დაღლით უფალს ბევრი ლოცვით, არ მოგისმენთ და ლოცვა ცოდვად შეგერაცხებათ.

**ყველა** ვერ გადარჩება. ვერც მე შეგიწყალო, ვერც უფალმა შეგიწყალოს, შენი თავი შენ თვითონ თუ არ შეიწყალე. ვინც სულს გადაირჩენს და სხვასაც შეეწევა სიტყვით და საქმით, ის ქრისტეს მცნების შემსრულებელია.

**საქართველო** ღვთისმშობლის წილხვედრია და რაც საქართველოში ხდება, ეს განსაცდელი ჩვენს სასიკეთოდაა. არ მიატოვოთ საქართველო, არ განარისხოთ ღვთისმშობელი.

**წმიდა** წინასწარმეტყველების ენუქისა და ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ.

ბოლო ჟამს საქართველო გაბრწყინდება, სწორედ ეს გაბრწყინება იქნება რელიგიური აღმავლობა და არა დოლარების ფრიალი, ზოგს რომ ჰგონია. უამრავი მორწმუნე მოიყრის საქართველოში თავს. რაც კომუნისტებმა გააკეთეს, არის შესავალი და ახლა იწყება უფრო მნიშვნელოვანი. ქვეყნის დასაბამიდან ასეთი განსაცდელი არ ყოფილა დედამიწაზე, ეს არის ბოლო. წარმოიდგინე დედა, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს, როგორ გამოკვებოს ეს ხუთი შვილი, თუ ბეჭედი არ მიიღო. ხედავ რამხელა მახეს უგებს ანტიქრისტე ადამიანს? თავდაპირველად იქნება ნებით, მაგრამ როცა გამეფდება და გახდება მსოფლიო მბრძანებელი, აიძულებს ყველას, რომ ეს ბეჭედი მიიღოს; ვინც არ მიიღებს, ასეთ ადამიანებს გამოაცხადებს სამშობლოს მოღალატეებად და ხალხიც უნდა გაიქცეს ტყეში, ათი - თხუთმეტი ერთად, ერთი და ორი ვერ გადარჩება. ასეთ ხალხს სულიწმიდა შეინახავს. რაც არ უნდა მოხდეს ღმერთის იმედი არასოდეს დაკარგო. უფალი მოგცემს სიბრძნეს როგორ მოიქცე.

**ბოლო** ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, სიმდაბლე შიგ შეგიყვანს და სიყვარული ღმერთს დაგანახებს.

**ილოცეთ ყველასათვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს.**

---

### საგანმანათლებლო დაწესებულებებში

# წიგნიერებისა და ხელოვნებისაკენ გზამკვლევი

**არიან** ადამიანები, რომელთაც თავიანთი საყვარელი საქმე, პროფესია არასოდეს ბეზრდებათ, პირიქით, წლების მანძილზე მობეზრებისა და დაღლილობის ნაცვლად, უფრო მეტ ხალისსა და ენერგიას იძენენ, გარშემომყოფებს სიხარულს ანიჭებენ და ლამაზ დღეებს დიდხანს ამახსოვრებენ. იქნებ მავანისათვის 34 წელიწადი ერთსადაიმავე ადგილზე ყოფნა, ერთი და იგივე დღის რეჟიმით გაწერილი სამუშაო დღეები ერთფეროვანიც გახდეს, საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარის **ვერიკო კერატიშვილისათვის** ეს 34 წელიწადი 34 ლამაზ, საინტერესო მატიანედ იკინძება მოგონებათა სკივრში...

წყაროსთავის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ჯერ საგარეჯოს III საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ტაშკენტის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო (საბავშვო სპეციალობით) ფაკულტეტზე განაგრძო. დაუსწრებელზე სწავლის პერიოდში საბავშვო ბაღშიც მუშაობდა, სადაც პედაგოგებს საინტერესო ღონისძიებების ჩატარებაშიც ეხმარებოდა. შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და 1981 წლიდან საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიწყო მუშაობა. მალე საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკაში გადმოიყვანეს, თუმცა, თავდაპირველად სააბონენტო მომსახურება ჰქონდა დავალებული, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა ღონისძიებაში. ნელ-ნელა გამოიკვეთა მისი ნიჭი, უნარი, მონდომება – ბიბლიოთეკაში მისული თითოეულ ბავშვთან თითქმის ინდივიდუალური მუშაობით მან ბავშვებს წიგნების გარდა, ხელოვნებაც შეაყვარა. მათ აქ თეატრის მოყვარულთა წრის მუშაობაც იზიდავდათ და რა პიესები აღარ დაიდგა აქ – „კუკარაჩა“, „გაყრა“, „ჭინჭრაქა“, „ეზოში ავი ძაღლია“, „კახელი ქალები“ და კიდევ ვინ მოთვლის... 1996 წლიდან ვერიკო კერატიშვილი საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორად გადაიყვანეს, თუმცა ამან საყვარელ საქმეს ვერ ჩამოაშორა და ერთმანეთის შეხვედრას, აზრების გაზიარებას, სიახლეების გაცნობას საბავშვო ბიბლიოთეკის დარბაზში ახერხებდნენ საგარეჯოს სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები. დიახ, აქ საინტერესო ღონისძიებები ტარდებოდა, რომელშიც ასევე, აქტიურად იყვნენ ჩაბმული საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც, სკოლების მოსწავლეები და მშობლები... დღესაც ტკბილად იგონებენ თვითნასწავლი პატარა მხატვრების ნახატების და პატარა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენებს, ლიტერატურულ საღამოებს, მწერლების, მხატვრების, გამოჩენილი ადამიანების სტუმრობებს, დისკუსიებს, ვიქტორინა-კონკურსებს... სწორედ მის დაუღალავ, შემოქმედებით საქმიანობაზე „გვიამბობენ“ ის სიგელები, საჩუქრები, რომლებსაც საბავშვო ბიბლიოთეკა და თავად ვერიკო კერატიშვილი იმსახურებდნენ იმ ბნელი, საშინლად აუტანელი წლების მიუხედავად...

„ვეფხისტყაოსნის“ წლად გამოცხადდა წლევანდელი წელი და ვერიკომაც საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთან მარინა ნარიმანიშვილთან ერთად ამავე სკოლის მეექვსეკლასელები მოამზადა ლიტერატურული კონკურსისათვის „ვეფხისტყაოსნის მარგალიტები“ და ნოემბრის ერთ ლამაზ დღეს ისინი საბავშვო განყოფილების მცირე დარბაზში მოიწვია. კონკურსი მიზნად ისახავდა იმ ბავშვების გამოვლენას, რომლებიც მეტ ანდაზებს გაიხსენებდნენ. კონკურსში მონაწილე 9 მოსწავლიდან ყველა კარგად მომზადებული აღმოჩნდა, მაგრამ მათგან მაინც გამოიკვეთა ოთხი მოსწავლე. გიორგი გოქსაძემ (33 ქულა) ჯილდოდ წიგნი „გამოგონებები“ დაიმსახურა, ელენე ქურხულს (32 ქულა), ნინო ჩალათაშვილს (30 ქულა), მარიტა ჭინჭარაულს (29 ქულა) კი სიგელები გადაეცათ. ჟიურის თავმჯდომარემ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერმა ლია გოდერძიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი ცოდნით და აღნიშნა, რომ მეექვსეკლასელებს შემდგომში უფრო მეტად გამოადგებათ „ვეფხისტყაოსნიდან“ ცალკეული თავების შესწავლაც. რაც შეეხება კონკურსის ჩატარების ორგანიზატორ ვერიკო კერატიშვილთან დაკავშირებით, საუბრისას აღნიშნა, რომ ეს არის თავისი საქმის უბადლოდ ერთგული, მოყვარული პიროვნება და მოზარდი თაობის მიმართ ყურადღებიანი, ამაგდარი ადამიანი, რომლისგანაც მომავალში კიდევ უამრავი საინტერესო ღონისძიების მომზადებას უნდა ელოდონ მოსწავლეები...

და ეს მართლაც ასეც იქნება. მალე რესპუბლიკური მნიშვნელობის ტური „ვინ, სად, როდის“... ჩატარდება. ტური ჯერ ცალკეული სოფლების, ქალაქების თითოეულ სკოლაში ჩატარდება, შემდეგ კი მუნიციპალიტეტებს, ქალაქებს და რესპუბლიკას მოიცავს. და ჯერ ორიოდე დღეა, რაც ეს ინფორმაცია გამოჩნდა სოციალურ ქსელში, ვერიკოს კი უკვე „სამოქმედო გეგმის“ მონახაზი აქვს გამზადებული...

წარმატებებს ვუსურვებთ თავის საყვარელ საქმიანობაში. იმ საქმიანობაში, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოზარდ თაობას წიგნიერებისაკენ, ხელოვნებისაკენ გზას უკაფავს.

## პრობლემები

**გამგებლის წარმომადგენლის თვალით დანახული ქალთა პრობლემები სოფელში**

# ქალები და სოფელი

**დღეს სოფელში მცხოვრები ქალები ბევრ თავსმოჯარულ პრობლემებს უმკლავდებიან. წყლის დეფიციტის ნაკლებობა მათ საოჯახო საქმეებს უფრო მძიმეს ხდის, დაუსაქმებლობა – ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მძიმედ მოქმედებს, ყველაფერი წვრილმანი პრობლემები ზოგიერთისთვის გაუსაძლისი ხდება. ზოგმა საზღვარგარეთს მიმართა, ზოგი თავისი შესაძლებლობებით იბრძვის პრობლემების მოსაგვარებლად. მათ მძიმე მდგომარეობას ყველაზე კარგად სოფლად ქალი – გამგებლის წარმომადგენელი იცნობს და განიცდის. დღეს გავესაუბრეთ გამგებლის წარმომადგენლებს და აი, ზოგადად ის პრობლემებიც:**

**ნანა ტაველიშვილი,** *ბადიაური:*

1. სოფელში ახალგაზრდა გოგონებს დასაქმების პრობლემა აწუხებთ.

2. მოზარდი თაობებისათვის აუცილებელი ხდება სკოლისგარეშე მუშაობაში ჩართვა, ეს იქნება ქორეოგრაფიულ, სპორტულ, კულტსაგანმანათლებლო თუ სხვადასხვა საადმზრდელო წრეებში და თანაც საჭიროა უფრო მეტი კონტიგენტის გაერთიანება.

3. ახალგაზრდებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს დღეს ინტერნეტ-კაფეს გახსნა, რომელზეც უკვე დიდი მოთხოვნაა სოფელში.

4. სოფელს ესაჭიროება რიტუალების დარბაზი, რაც ჩვენი სოფლის მანდილოსნებს მართლაც მოუხსნით დიდ პრობლემებს და უხერხულობებს.

5. მათთვის აუცილებელია მუდმივი გრაფიკით სასმელი წყლის მიწოდება, რაც აადვილებს მძიმე შრომას.

**თამარ გარსევანიძე,** *ნინოწმინდა:* – ჩვენი სოფლის ქალბატონების დიდი სურვილია სოფელში სილამაზის სალონის გახსნა. ასევე აწამებთ უმუშევრობა. კარგი იქნებოდა სოფელში გახსნილიყო ისეთი ცენტრი, ოთახი, სადაც ქალები შეძლებდნენ შეხვედრას, ერთმანეთის აზრის გაზიარებას, რაიმე ხელობის შესწავლას, რომლითაც შემდეგ დასაქმდებიან. მართალია, ზოგიერთი საკითხის შესწავლაში სოფელში გახსნილი საკვირაო სკოლა ეხმარებათ მათ, მაგრამ სკოლაში განსაზღვრული კონტიგენტია, მეტის მიღება მათ არ შეუძლიათ, არადა, სოფელში 835 ქალია, მათგან ხომ ყველა არ არის დასაქმებული.

**ანა ყაჯრიშვილი,** *დიდი ჩაილური:* – პირველ რიგში, ძალადობა ოჯახში. ქმარგაცილებული ქალების სრული უუფლებობა ყოფილი მეუღლის ოჯახსა და მშობლებთან. არიან ქალები, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ. ოჯახის დარღვევის შემდეგ, არც საარსებო მინიმუმი აქვთ და არც ყურადღება მცირეწლოვანი შვილების გასაზრდელად. ჩვენს სოფელს არც საბავშვო ბაღის შენობა აქვს ნორმალური და არც საექიმო ამბულატორიის შენობა. ჩვენი სოფლის ქალების ყოველდღიური ცხოვრება არის ქმარშვილის მოვლა, დიდი შრომა ვენახებსა და ნაკვეთებში. დღე და ღამე შრომობენ ოჯახში საარსებო მინიმუმის შესატანად და მიუხედავად ყოველგვარი პრობლემებისა, როგორც ყველა ქართველი ქალი, ისინი მართლაც ღირსეულად ატარებენ დედაკაცის სახელს...

# გულისყურით დანახული სამყარო

**მთის** ლაღ და მშვენიერ სოფელში დაიბადა. ბავშვობიდანვე ეამაყებოდა მთიელობა – ჩამოუჯდებოდა ჯარასთან და თითისტართან ჩამყუდროებულ უფროსი თაობის ქალებს – მთის სილამაზესა და მთიელთა გულზვიად ცხოვრებაზე მოსაუბრეებს. ვინმე ლექსს გაიხსენებდა, მეორე სიმღერას წაიღიღინებდა, მერე ერთმანეთს აჰყვებოდნენ და ზამთრის მძიმე, გრძელი ღამეებიც ჩამოიმარცვლებოდა, გაზაფხულზე მინდორში გადიოდნენ ქალიან-კაციანად, ბოსტანს დაჰღუღუნებდნენ პატარებთან ერთად. საქმეში გართულ, სატრფიალო თუ საგმირო საქმეების სიმღერააყოლილ ქალებს გულდასმით უსმენდა და აღარც კი ახსოვს, თავად როდის დაიწყო სიმღერა... ახლა 33 წლისაა, სიცოცხლეზე, მოძრაობაზე, საქართველოზე შეყვარებული ***გომბორელი მარინა ბიბაური***. სახლში პიანინო არ ჰქონდა, ბავშვობამაც უშუქობასა და დიდ გაუსაძლის პირობებში გაიარა, მეზობლად ამხანაგს ჰქონდა პიანინო და მისი ხშირი სტუმარი იყო. სანოტო ნიშნები არ იცოდა, მაგრამ სმენით აწყობდა შემთხვევით ერთხელ მოსმენილ სიმღერას და თავის კრიალა, სასიამოვნო ხმით გაჭირვებული ყოფის მძიმე წლებს უმსუბუქებდა თანატოლებს. 18 წლისამ თბილისის 24-ე სამუსიკო ათწლედში ჩაბარა და გაასკეცებული მონდომებით შეუდგა სწავლას. უხაროდა, ოცნების კოშკებს აგებდა – თავად განათლებას მიიღებდა და შემდეგ გომბორელ პატარებს შეაყვარებდა მუსიკას. სულ 2 თვე ისწავლა. ამ ორ თვეში სამუსიკო ნოტები პირველად გაიცნო, შეისწავლა, მაგრამ... ერთ დღესაც სიცოცხლით სავსე, მომავლის ნათელი ფერების მომლოდინემ სამყაროს ფერები ვეღარ დაინახა... მძიმე იყო ექიმების მიერ დასმული დიაგნოზი, მძიმე, დაუჯერებელი, მაგრამ ტკივილით სავსე რეალობა. მას შემდეგ 15 წელი გავიდა... ამ ხნის მანძილზე შეხვდა ადამიანებს, რომლებსაც მარინას მსგავსად, ფარხმალი არ დაუყრიათ, არ დანებებულან თავს დატეხილს და მხნედ აგრძელებენ ცხოვრებას – გაწევრიანდა საქართველოს უსინათლოთა კავშირში, რომელიც ადამიანებს აძლიერებს, ამხნევებს და ცდილობს შრომის ფერხულში ისე ჩააბას, სრულფასოვან ადამიანად აგრძნობინოს თავი. მარინამ სხვადასხვა აქტივობებშიც მიიღო მონაწილეობა, გაიარა „ფსიქოლოგიური ტესტირებაც“, ერთხანს იმუშავა კიდეც თავის მეგობრებთან ერთად, ჩართული იყო სხვადასხვა პროგრამებშიც, მაგრამ, რაც მას ამ რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო დონის მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ უთხრა მას შემდეგ – მომავალს უფრო ნათელ ფერებში ხედავს – შენგან დიდი და ძლიერი ვოკალისტი დადგებაო. მაგრამ, ყველაფერი კი, ძლიერ და დიდ ვოკალისტობამდე მისვლა თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა მარინას არც ის რუტინული შრომა აშინებს, რომელიც ამ გზის დასაწყისიდან გამარჯვებამდე მიიყვანს. მთავარია, ხელისშეწყობა, დამფინანსებელი გამოჩნდეს.

მარინას ნამღერი კი არავისას არ ჰგავს, რაღაცნაირად სულიან-გულიან-ფერებიანად ამოხეთქილი, საამურად აჟღერებული, ხან ქართველი ვაჟკაცის საგმირო საქმეებზე მთხრობელი, ხან დიდ, ლამაზ სიყვარულზე მოჟღურტულე...

## შემოქმედი

# ის, ჩვენი გარეჯის სიყვარულით ნასაზრდოები

**დასასრული**

**შემოდგომა**

ყვითელ ფოთლების ნიადვარი ისევ
წამლეკავს,
ქარი მოხვეტავს, შემომაყრის.....
ჩქერი გამქელავს,
ამ შემოდგომას მეგობრის ხსოვნა
ისევ შემხვდება, ისევ გამთელავს.....
სითბო ფოთლებში დარჩენილი
სხივის.... დამთენთავს!

..და შემოდგომით, მზეს რომ სხივი
მიწას დასცვივდა,
დავეძებ ფერში , ყვითელ ფერში....
ვპოულობ წითელს,
...თქვენი არ ყოფნით გამოწვეულ
სევდას ვერ ვიტევ...
.....მე დღესაც ისევ თქვენს სიყვარულს....
ბილიკად ვიფენ!

ლელას ლექსები სოციალურ ქსელში საგარეჯოზე დღემდე არც განუთავსებია, მაგრამ ახლა რაღაც ძლიერად მომძლავრებულ ნოსტალგიას (ბავშვობის მონატრებას) ვეღარ ვძლიეო და ასე და ამგვარად მოგვეფერა, ჩემო საგარეჯოელებო, ჩვენი ლელა...

## სპორტი

**5-7 ნოემბერს** არსენ მეკოკიშვილის სახელობის საგარეჯოს სპორტკომპლექსის საჭიდაო არენამ მორიგ დიდმნიშვნელოვან ასპარეზობას უმასპინძლა. ჩატარდა ჭიდაობა სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის საგარეჯოელი მამუკა კურდღელაშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა სამბოში 2000-2001 წლიან კადეტ გოგონათა და ვაჟთა შორის. ეს ტურნირი ამავე დროს იყო შესარჩევი შეჯიბრება მსოფლიოს მომავალი პირველობისათვის, სადაც I ადგილზე გასული მოჭიდავეები უფლებას მოიპოვებდნენ გაემგზავრონ სოფლიო პირველობაზე. ტურნირი ორგანიზებული იყო საქართველოს სამბოს ფედერაციისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მიერ. მასში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი და სპორტგაერთიანება, სადაც ჭიდაობის ეს სახეობა ფუნქციონირებს.

გოგონათა შორის ორდღიანი ასპარეზობა 38 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც ყველა საპრიზო ადგილი მწვრთნელ ლუდა ფერაძის აღსაზრდელმა საგარეჯოელმა გოგონებმა დაიკავეს. ამ წონაში პირველ ადგილზე გავიდა სალომე არაბული, მეორეზე – ლალი ხოსიტაშვილი, მესამეზე თამთა სუხიაშვილი.

მომდევნო – 41 კგ წონით კატეგორიის გამოტოვების შემდეგ 44 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ჩვენი მოჭიდავე ანა ასანიშვილი.

48 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილები გაიყვეს ვარდიკო ბუჩაშვილმა და ნინო ლოლაძემ.

56 კგ წონით კატეგორიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონის ტიტული არავის დაუთმო თინიკო რევაზიშვილმა.

60 კგ წონით კატეგორიაში ვიცე-ჩემპიონი გახდა მზია ტაკაშვილი. ასეთივე შედეგით დატოვა საჭიდაო ხალიჩა მისმა თანაგუნდელმა +70 კგ წონით კატეგორიაში სალომე ჭამიაშვილმა.

საბოლოო შედეგებით სამი პირველი, ამდენივე მეორე და მესამე ადგილით ლუდა ფერაძის აღსაზრდელებმა ასპარეზობის გუნდური I ადგილი დაიკავეს და ქვეყნის მასშტაბით ძიუდოს მსგავსად სამბოშიც დაამტკიცეს თავიანთი შესაძლებლობები.

შედარებით ნაკლებეფექტური გამოდგა არენაზე საგარეჯოელ ვაჟ სამბისტთა გამოსვლა, რომელთაც მხოლოდ სამი მესამე ადგილის მოპოვება შეძლეს. კერძოდ, ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ნოდარ ქურხული (55კგ), ნიკა ბასილაშვილი (60კგ) და გიორგი მესროფოვი (66კგ).

შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ ევროპის ორგზის ჩემპიონი, ჩვენი თანამემამულე დავით სვიმონიშვილი. ასპარეზობის შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასული ფალავნები დაჯილდოვდნენ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის გადაწყვეტილებით მომავალში ტრადიციული ხასიათი მიეცემა მამუკა კურდღელაშვილის სახელობის ტურნირების გამართვას და მიენიჭება საერთთაშორისო ტურნირის სტატუსი, რაც შესაძლებელს გახდის საგარეჯოში ამ ასპარეზობაში ქართველებთან ერთად უცხოელი მოჭიდავეების მონაწილეობის მიღებას.

*გ. დაბახიშვილი*

## სამგო

# მსოფლიო პირველობის შესარჩევი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე